

ბაზრის სახეობები თავისუფალი და რეალური

ლადო პაპავა


ეკონომიკის მოწყობის ორი მოდელი არსებობს – საბაზრო და მბრძანებლური. პირველი ეფუძნება ცალკეული ინდივიდების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების უპირატესობას, ხოლო მეორე გულისხმობს, რომ თითქმის ყველა გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოა და ეს გადაწყვეტილებები რიგით ადამიანებამდე დაიყვანება ბრძანებების სახით.

მბრძანებლური ეკონომიკის კლასიკური ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი, რომლის შემადგენლობაშიც 70 წლის განმავლობაში იძულებით შედიოდა საქართველოც. თანამედროვე მსოფლიოში მბრძანებლური ეკონომიკის გამორჩეული ქვეყანა არის ჩრდილოეთი კორეა. საყურადღებოა, რომ დღეისათვის მბრძანებლური ეკონომიკა სულ უფრო ნაკლებ ქვეყანაშია რეალიზებული.

ამის საპირისპიროდ, თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის მოწყობის საბაზრო მოდელია გაბატონებული.

1991 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, საქართველოშიც დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებითაა დასრულებული.

ეკონომისტები ტრადიციულად განიხილავენ ბაზრის ორ მოდელს, რომელთაგან ერთი აშკარად თეორიული ხასიათისაა, მეორე კი უფრო დაახლოებულია ეკონომიკურ რეალობასთან. ესენია თავისუფალი და რეალური ბაზარი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.



თავისუფალი ბაზარი და სრულყოფილი კონკურენცია

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თავისუფალი ბაზარი მხოლოდ აბსტრაქციაა. ის ბაზრის ზოგად კანონზომიერებათა მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის გამოკვეთილი თეორიული კონსტრუქციაა. სინამდვილეში, არსებული ბაზარი ბევრად უფრო რთული ფენომენია და მისი მოქცევა თავისუფალი ბაზრის თეორიულ მოდელში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყველაზე უფრო მკაფიოდ თავისუფალი ბაზრის არსებითი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების აბსოლუტურად დაუბრკოლებელი შესვლა-გამოსვლა, რაც კონკურენციაში მონაწილეთა შეუზღუდავ რაოდენობას უზრუნველყოფს.
2. რესურსების (შრომითი, მატერიალური, საფინანსო) აბსოლუტური მობილურობა.
3. თითოეული კონკურენტი სრული მოცულობით ფლობს საბაზრო ინფორმაციას (ანუ ინფორმაცია მოთხოვნა-მიწოდების, ფასების შესახებ და სხვ.).
4. ერთნაირი დასახელების პროდუქტები აბსოლუტურად ერთგვაროვანი და განურჩეველია (რაც გამორიცხავს სავაჭრო ნიშნებისა და საქონლის ხარისხის ნებისმიერი ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყენებას).
5. ბაზრის სხვა მონაწილეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა მათ არც ერთ კონკურენტს არ შეუძლია.

ამ ნიშნებიდან გამომდინარე მიჩნეულია, რომ თავისუფალ ბაზარზე არის სრულყოფილი კონკურენცია.

თავისუფალი ბაზრის პირველი ნიშნის მიხედვით, ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თვალსაზრისით, ყველა მყიდველი და გამყიდველი თანასწორ მდგომარეობაშია, რადგან ამის გაკეთება აბსოლუტურად დაუბრკოლებლად შეუძლია თითოეულ მათგანს.

თავისუფალი ბაზრის აგენტებს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს რესურსების აბსოლუტური მობილურობაც (ანუ ერთი სახეობის რესურსის მეორე სახეობის რესურსში შეუფერხებელი და ადეკვატური გაცვლა).

თითოეული კონკურენტის მიერ საბაზრო ინფორმაციის სრული მოცულობით ფლობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზრის აგენტების თანასწო-



ეკონომიკა



რობის თვალსაზრისით, რაც არასრული ინფორმაციის გამო მათი მცდარი ქმედებების შესაძლებლობას გამოიწვავს.

ერთნაირი დასახელების პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნება და განურჩევლობა ყველა მწარმოებელს (ბაზარზე ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის რეალიზებისას) და ყველა მომხმარებელს (ამ პროდუქციის შექმნის მიზნით სწორი არჩევანის გაკეთებისას) ასევე თანასწორ მდგომარეობაში აყენებს.

რაც შეეხება თავისუფალი ბაზრის ბოლო, მეხუთე ნიშანს, რადგან არც ერთ კონკურენტს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ბაზრის სხვა მონაწილეების გადანყვეტილებებზე იქონიოს ზეგავლენა, ამიტომ ბაზრის ყველა აგენტი გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით თანასწორია.

ითვლება, რომ თავისუფალი ბაზრის მოდელთან ყველაზე ახლოს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, თუმცა არც ის ბაზარი ყოფილა სრულად თავისუფალი.

როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, რაც გამოიყენება ბაზრის ზოგად კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით. რეალურად კი, ძალზე ხშირად ხდება ამ კანონზომიერებებიდან გადახრა. ამიტომ უნდა იყოს თავისუფალი ბაზრის, როგორც იდეალური ბაზრის მოდელი ის პირობითი ეტალონი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ბაზრის სახელმწიფო რეგულირება.

თავისუფალი ბაზრის ჩაპარდნა და რეალური ბაზარი

თავისუფალი ბაზრის მოდელის მიმზიდველობის მიუხედავად, მას არ შეუძლია რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადანყვეტა, რაც ბაზრის ჩავარდნის სახელწოდებითაა ცნო-

ბილი. ამ პრობლემათაგან, უწინარეს ყოვლისა, ძირითად სამს გამოყოფენ, ესენია:

1. გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თავიდან აცილება;
2. საზოგადოებრივი დოვლათის, ასევე კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოება;
3. ეკონომიკის საჭირო ფულის მასით უზრუნველყოფა.

გარე ეფექტი (მას ეკონომისტები ექსტერნალიას უწოდებენ), თავისი ბუნებით, ერთი ადამიანის საქმიანობის სხვათა კეთილდღეობაზე ზეგავლენას ნიშნავს. ეს ეფექტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კერძოდ, როცა ადამიანი თავისი სახლის ფასადის გაღამაზებას გადანყვეტს, ბუნებრივია, ამას შედეგად სხვებისთვის დადებითი გარე ეფექტი მოჰყვება, ვინაიდან ეს სხვები ლამაზი შენობის ხილვით ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებენ; ამ მაგალითის საწინააღმდეგოდ, ქიმიური წარმოების შემთხვევაში, ბუნებისთვის მიყენებული ზიანის შედეგად ადამიანის კეთილდღეობაზე მოქმედი უარყოფითი გარე ეფექტი იქმნება.

ორივე შემთხვევაში ირღვევა ბაზარზე მყოფი აგენტების საბაზრო თანასწორობის პრინციპი:

- პირველ შემთხვევაში ზარალდება ის, ვისი საქმიანობის შედეგადაც დადებითი გარე ეფექტი იქმნება, რადგანაც სხვებზე (გადაწინააღმდეგობრივ) პოზიტიური ზეგავლენა მათი ყოველგვარი მცდელობის გარეშე მიიღება;
- მეორე შემთხვევაში კი ზარალდება ყველა, ვინც უარყოფით გარე ზეგავლენას განიცდის, რადგან ის, ვინც უარყოფით გარე ეფექტს ქმნის (მაგალითად, ქიმიური წარმოება), სათანადო



ეკონომიკურ სარგებლობას მაშინ იღებს, როცა ამით სხვა დანარჩენის მდგომარეობა უარესდება.

იმისათვის, რომ გარე ეფექტებით გამოწვეული საბაზრო უთანასწორობა მინიმუმამდე დავიდეს, ბაზრის საქმიანობაში ერევა სახელმწიფო, რადგანაც თავად ბაზარს ამ პრობლემის საკუთარი ძალებით გადაწყვეტის შესაძლებლობა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია ორი მეთოდით იმოქმედოს: ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეგულირებით.

პირველი მეთოდით, მართვის სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია ან რომელიმე კონკრეტული უარყოფითი გარე ეფექტი საერთოდ აკრძალოს (მაგალითად, ქიმიური ნარჩენების მოხვედრა სასმელი წყლის მიწოდების სისტემაში და ასეთი ქმედების დანაშაულის რანგში აყვანა), ან მისი ზედა ზღვარი დაანესოს (მაგალითად, თითოეული სახეობის ქიმიური საწარმოსათვის ქიმიური ნარჩენისათვის მაქსიმალური ზღვარის დაწესება).

მეორე მეთოდის მიზანი კი ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაა, რომლებიც გარე ეფექტების შემქმნელ ინდივიდებს მათ შიგა ეფექტებად გარდაქმნას აიძულებს. უარყოფითი გარე ეფექტების შიგა ეფექტებად გადაყვანისათვის ამ უარყოფითი ეფექტების ყოველ ერთეულზე (მაგალითად, ყოველ ერთ ტონა ქიმიურ ნარჩენზე) სპეციალური გადასახადი გამოიყენება, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში პიგუს გადასახადის სახელითაა ცნობილი; დაბეგვრის ამ სისტემის პირობებში უარყოფითი გარე ეფექტის წარმომქმნელს ამ ეფექტის შემცირების შიგა სტიმული ექნება.

რაც შეეხება დადებითი გარე ეფექტების შიგა ეფექტად გარდაქმნას, ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია სუბსიდირების მექანიზმი აამოქ-

მედოს, რაც ამ ეფექტის წარმომქმნელს შიგა სტიმულს მისცემს – ის არ შეამციროს.

თავისუფალ ბაზარს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი დოვლათის (ეს ის დოვლათია, რომელსაც საზოგადოება კოლექტიურად მოიხმარს, როგორცაა, მაგალითად, ქვეყნის თავდაცვა, მართლწესრიგი და სხვ.) წარმოება არ ძალუძს, რადგანაც ის არაკონკურენტულია (ანუ წარმოების მოცემული დონის პირობებში დამატებითი მოხმარების საჭირო დანახარჯი ნულის ტოლია) და არაგამორიცხვადი (ანუ შეუძლებელია ადამიანების გამორიცხვა მოხმარებიდან). საზოგადოებრივი დოვლათის ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანებს დოვლათით შეუძლიათ ისე ისარგებლონ, რომ მის წარმოებაზე არანაირი ხარჯი არ გასწიონ. მაშასადამე, საზოგადოებრივ დოვლათს აქვს დადებითი გარე ეფექტი, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, თავის მხრივ, ადამიანთა საბაზრო უთანასწორობას იწვევს.

საზოგადოებრივი დოვლათის ბუნება იმას განაპირობებს, რომ კერძო სექტორს მისი წარმოების უშუალო ინტერესი არ აქვს და ამიტომ ამის კეთება სახელმწიფო სექტორს უხდება.

მხოლოდ არაგამორიცხვადი ან მხოლოდ არაკონკურენტული დოვლათი (მაგალითად, ქუჩები და ავტომაგისტრალები, პოლიცია და სახანძრო დაცვა, ბიბლიოთეკები და მუზეუმები და ა.შ.) კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის სახელწოდებითაა ცნობილი. პრინციპში, ის შეიძლება კერძო სექტორის მიერ იყოს წარმოებული, მაგრამ ეს სათანადო დონით დადებითი ეფექტის გარეთ გადადინების გამო არ მოხდება, რაც სახელმწიფო სექტორს კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში ჩართვას აიძულებს.

საზოგადოებრივი (და კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის წარმოებისას სახელმწიფოს უმთავრესი



პრინციპი თანასწორობაა: ეს დოვლათი საზოგადოების ყველა წევრისათვის თანასწორად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი დოვლათის ისეთი ნაირსახეობა, როგორცაა ეგალიტარული დოვლათი, ანუ სოციალური სიმშვიდე, რომელიც მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის განეული დახმარებით მიიღწევა. ამ დახმარების საფუძველს სოციალური დაცვის სახსრები (შემწეობები) წარმოადგენს, რომლებიც შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილების გზით იქმნება.

ცნობილია, რომ როგორც საბაზრო მექანიზმს, ისე არასაბაზროს შეუძლია წარმოშვას დიდი ქონებრივი უთანაბრობა, რაც შემოსავლის განაწილების მექანიზმის მოქმედების შედეგია: მსხვილი კაპიტალისა და მიწის ფართობების მფლობელებს, მაღალხელფასიან დაქირავებულ მუშაკებს (მათი შრომის იშვიათობის გამო), დიდი ოდენობით მემკვიდრეობამიღებულ ხალხს შემოსავლის მაღალი დონე აქვს; მაგრამ საზოგადოება ისეთ ადამიანებსაც მოიცავს (ხანდაზმულებს, უმუშევრებსა და ა.შ.), რომელთაც საბაზრო სისტემის ფარგლებში ან ძალიან მცირე შემოსავლები აქვთ, ან შემოსავალი საერთოდ არ გააჩნიათ. სახელმწიფო შემწეობას აძლევს ყველას, ვინც სოციალურ დაცვას საჭიროებს.

სახელმწიფოს ეს ქმედება საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლების უთანაბრობის შემცირების გზით საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვითაა მოტივირებული.

მოსახლეობის ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერის გზით მიღწეულ სოციალურ სიმშვიდეს ეგალიტარულ დოვლათს ვუნოდებთ. იგი სოციალური დაცვის განვითარებაზე, უმუშევრებისა და ომის მონაწილეთათვის შემწეობის აღმოჩენაზე, უფასო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამებზე, სახელმწიფო საბინაო მშენებლობაზე და ა.შ. არის დაფუძნებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეგალიტარული დოვლათის წარმოების საფუძველია ე.წ. „ვერტიკალური“ სოციალური თანასწორობის დამყარება.

მესამე ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც თავისუფალ ბაზარს არ ძალუძს, ეკონომიკის საჭირო რაოდენობის ფულით უზრუნველყოფაა, თუმცა თეორიულ დონეზე შესაძლებლად და ეფექტიანადაც არის მიჩნეული ამ ფუნქციის სახელმწიფოდან უშუალოდ ბაზრისათვის გადაცემა.

ამ სამი ძირითადი პრობლემის გარდა, სახელმწიფოს ვალია, თავისუფალ კონკურენციას



„სუბსიდია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილ თანხებს ამა თუ იმ ღონისძიების გასატარებლად.

მისი დამაბრკოლებელი ბარიერების მოშლის გზით შეუწყოს ხელი, რათა საბაზრო ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და კაპიტალის დაუბრკოლებელი გადადინება მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს ისეთ ფუნქციებს ენიჭება, როგორცაა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერისა და გაიოლებისათვის სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა და ეკონომიკის სტაბილიზაცია (რაც, უწინარეს ყოვლისა, ინფლაციის დაბალი და დასაქმების მაღალი დონეების მიღწევაში უნდა გამოიხატოს).

აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს ასევე აქვს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა პროფილაქტიკის, განსაკუთრებულ ვითარებაში, მაგალითად, ომის დროს ეკონომიკის უშუალო მართვის, ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების ფუნქციები.

უწინარეს ყოვლისა, გარე ეფექტების, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობის, მონოპოლიური წარმონაქმნების მხრიდან საბაზრო ინფორმაციის გავრცელების, კაპიტალის გადადინებისა და, საბოლოო ჯამში, თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის გამო, ბაზარი მასში მონაწილე აგენტების შესაძლებლობათა თანასწორობას პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს, ანუ საბაზრო თანასწორობა ირ-

ღვევა, რაც თავისუფალი ბაზრის მოდელიდან გადახვევის ტოლფასია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ფუნქცია (როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ) თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახვევის მაქსიმალური შემცირებაა. აუცილებელია ხაზი იმასაც გაესვას, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა, თავის მხრივ, არ გამოირიცხავს, რომ, სინამდვილეში, სახელმწიფოს ქმედება თავად იყოს მანკიერი, თავად (არცთუ იშვიათად – შეგნებით) აფერხებდეს საჯაროდ გაცხადებული მიზნების მიღწევას.

სახელმწიფოს მხრიდან შეგნებით თუ შეუგნებლად დაშვებული მცდარი გადანყვეტილებების უკან დგას საზოგადოებრივი თანამდებობის პირების ზრუნვა პირადი სარგებლობის მისაღებად. ეკონომისტები, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური რენტის ძიებას გულისხმობენ, რაც პოლიტიკური პროცესის გზით ეკონომიკური რენტის მოძიებასა და დაცვას ნიშნავს. თავის მხრივ კი, ეკონომიკური რენტა გაიგება, როგორც ის დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი, რომელსაც ამა თუ იმ რესურსის ფაქტორის (მაგალითად, მიწა) მფლობელი იღებს ამ ფაქტორის განსაკუთრებული იშვიათობის (რაც განაპირობებს მისი რაოდენობის ძალზე დიდ შეზღუდულობას) გამო.

როცა საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ისეთი გადანყვეტილებები, რაც კიდევ უფრო შეზღუდავს ამა თუ იმ რესურსს, მაშინ ისინი ამაში იღებენ

პოლიტიკურ რენტას. ამ ადამიანების ხელთ უმთავრესად არსებულ რესურსებს შორის ყველაზე გამორჩეული ფინანსური რესურსია, რომლის საფუძველზეც გაიცემა ზემოხსენებული სუბსიდია. სწორედ სუბსიდიების გზით ცდილობენ საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი ადამიანები პოლიტიკურ (პრეზიდენტის და პარლამენტის) არჩევნებში იმ ამომრჩეველთა მხარდაჭერა მიიღონ, რომლებიც ამ სუბსიდიების და მათი საშუალებებით პოლიტიკური რენტის მიმღები არიან, თუმცა, თეორიულად, სუბსიდიის დანიშნულება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დადებითი გარე ეფექტის შიგა ეფექტად გარდაქმნა.

რეალური ბაზრის პირობებში, ბაზარში სახელმწიფოს წარუმატებელი ჩარევის დაძლევის ერთადერთი გზა თავად საბაზრო მექანიზმშია. ხაზგასასმელია, რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპების მხარდაჭერა მხოლოდ საბაზრო დემოკრატიის დამყარებისა და განმტკიცების გზითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის განმსაზღვრელი ფუნქცია სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების გზით თავისუფალი ბაზრის შემაფერხებელი ყველა ძალის მაქსიმალური შესუსტება უნდა იყოს. ეს კი, თავის მხრივ, ძალზე რთული ამოცანაა, რადგან იგი არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებთან, არამედ იმ ეროვნულ, ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ ფასეულობებთანაც არის დაკავშირებული, რითაც ესა თუ ის ქვეყანა ცხოვრობდა და ცხოვრობს.

